საქართველოს სპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სროლის სახეობის ეროვნული სპორტული ფედერაციის/ორგანიზაციის ან/და მისი წევრი იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის მიერ (რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გახსნილი აქვს დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირი, სასროლეთი ან/და სასროლო-სანადირო სტენდი), აგრეთვე იმავე წესით აღიარებული ეროვნული სპორტული ორგანიზაციის მიერ (რომლის ერთ-ერთი მიმართულებაც სროლის სახეობაა) სანადირო ან/და სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა

ნებართვის მაძიებელმა უნდა მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „მომსახურების სააგენტოს“ და სააგენტოში უნდა წარადგინოს:

1. განცხადება, რომელშიც მითითებულია საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია (სად, როდის და ვის მიერ ტარდება ღონისძიება), საქართველოდან გასატანი და უკან შემოსატანი სანადირო ან/და სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (მარკა, მოდელი, ნომერი, კალიბრი, რაოდენობა და ა. შ.), პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს მათი საქართველოდან გატანა და საქართველოში შემოტანა;
2. იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის კანონიერად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის გატანა-შემოტანაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები;
4. ნებართვისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევისა);
5. მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საქართველოს სპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სროლის სახეობის ეროვნული სპორტული ფედერაციის/ორგანიზაციის ან/და მისი წევრი იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის მიერ (რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გახსნილი აქვს დახურული ან/და ნახევრად დახურული ტირი, სასროლეთი ან/და სასროლო-სანადირო სტენდი), აგრეთვე იმავე წესით აღიარებული ეროვნული სპორტული ორგანიზაციის მიერ (რომლის ერთ-ერთი მიმართულებაც სროლის სახეობაა) სანადირო ან/და სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვის ღირებულება შეადგენს 16 ლარს. ამასთან, ზემოაღნიშნული პირი

თავისუფლდება იარაღის ან/და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვისთვის გათვალისწინებული სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან.

ნორმატიული აქტები

- ✓ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
  https://www.matsne.gov.ge/document/view/26824?publication=120

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=93

- ✓ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/14944?publication=86

- ✓ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“
  https://matsne.gov.ge/ka/document/view/23230?publication=40

- ✓ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის წესისა და დამატებითი პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის №162 დადგენილება
  https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/10426?publication=10

- ✓ „სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის/ვაზნის შეძენის, შენახვის, ტარების, საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანება
  https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2259890?publication=20

- ✓ „იარაღის რეგისტრაციის მოწმობის, სანებართვო მოწმობების ფორმების, აგრეთვე მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 22 დეკემბრის №1371 ბრძანება

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/80980?publication=7

- ✓ „სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის/ვაზნის შეძენის, შენახვის, ტარების, საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანება

  https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2259890?publication=20